მოგახსენებთ, რომ განსახილველ ობიექტზე გრგ-ს და პროექტის დამტკიცების დროს მოქმედებდა საქართველოს მთავრობის 57-ე დადგენილება, შესაბამისად, მისი კორექტირება უნდა განხორციელდეს 57-ე დადგენილების შესაბამისად, 57-ე დადგენილების 77-ე მუხლის I პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, IV კლასის შენობა-ნაგებობის სამშენებლო დოკუმენტის პროექტში შენობის ფასადის დეტალური მახასიათებლების (კერძოდ: გამოყენებული მასალების, მათი ფერის და ა.შ.) მითითება სავალდებულოა <u>მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი მდებარეობს განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში ან ისტორიული დაცვის ზონაში.</u>

განსახილველი ობიექტი არ მდებარეობს არც ერთ ზემოაღნიშნულ ზონაში. შესაბამისად, ფასადის დეტალური მახასიათებლების მითითება არაა სავალდებულო პროექტში, ხოლო ის რისი მითითებაც სავალდებულო არაა, ვერ იქნება ხარვეზის საფუძველი.

თქვენს მიერ მითითებულ საკანონმდებლო ნორმასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-12 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, 57-ე დადგენილებას, როგორც საქართველოს მთავრობის ნორმატიულ აქტს, გააჩნია უპირატესი ძალა თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიულ აქტთან მიმართებაში.